

ონლაინ განთავსებული ახალგაზრდული ინფორმაციის პრინციპები

მიღებულ იქნა ქალაქ როტერდამში (ჰოლანდია) 2009 წლის 5 დეკემბერს ევროპის ახალგაზრდული საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტოს(ERYICA)რიგით მე-20 გენერალური ასამბლეის მიერ.

შესავალი

ინტერნეტი არის ძლიერი საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყარო, ისევე როგორც დღევანდელი ახალგაზრდობის სოციალური გარემოს განუყოფელი ნაწილი. ონლაინ ინფორმაციისა და კონსულტაციის უზრუნველყოფა ისევე როგორც ინტერნეტზე ორიენტირებულობა არის ახალგაზრდული სამსახურების ახალი ფუნქცია.

გარდა იმისა რომ ახალგაზრდული საინფორმაციოები ეხმარებიან ახალგაზრდებს სწორი ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ისინი ასევე მხარს უჭერენ მაქსიმალურად გაზარდონ ინტერნეტის სარგებლიანობა და შეამცირონ მათი პოტენციური რისკები.

ონლაინ განთავსებული ახალგაზრდული ინფორმაცია ახალგაზრდული საინფორმაციო სამსახურების განუყოფელი ნაწილია და აქედან გამომდინარე მათ უნდა დაიცვან წესდებაში აღნიშნული ყველა აქტი. იქიდან გამომდინარე რომ ახალგაზრდული ონლაინ ინფორმაცია ხასიათდება თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი მინიშნებები.

იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს ონლაინ მიწოდებული ინფორმაციისა და სერვისის ხარისხი, ERYICA-მ შეიმუშავა ქვემოთ აღნიშნული პრინციპები.

პრინციპები

1. ონლაინ განთავსებული ახალგაზრდული ინფორმაცია უნდა იყოს განახლებული, ზუსტი და დამოწმებული. თარიღი როდესაც ინფორმაცია განახლდა აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.
2. შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ახალგაზრდების მოთხოვნილებებს, ხოლო მათი მოთხოვნები კი მუდამ უნდა მოწმდებოდეს.
3. ინფორმაციის შინაარსი უნდა იყოს შესაბამისი, იძლეოდეს არჩევანის საშუალებას და ამასთანავე ის უნდა იყოს უფასოდ ხელმისაწვდომი. გამოყენებული შერჩევის კრიტერიუმები უნდა იყოს საჯარო და მარტივად გასაგები.
4. ონლაინ განთავსებული ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად გასაგები და წარდგენილი მათთვის სასურველი გზებით.
5. ონლაინი ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურებები უნდა მუშაობდნენ ყველასათვის, განსაკუთრებით კი კონკრეტული ჯგუფების მოთხოვნების შესაბამისად.
6. როდესაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ შეკითხვები დასვან ონლაინ რეჟიმში, მათ უნდა ზუსტად უნდა იცოდნენ თუ რა დროში მიიღებენ ისინი პასუხს. პასუხი კი უნდა იყოს ინდივიდუალური და იქვე უნდა იყოს მითითებული პასუხის გამცემი პირის ვინაობა.

7. როდესაც ახალგაზრდები მონაწილეობას იღებენ ინფორმაციის შინაარსის შედგენაში, ინფორმაციის საბოლოო სიზუსტე უნდა დარჩეს ახალგაზრდული საინფორმაციო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ქვეშ.
8. ახალგაზრდების წახალისება მათი მოსაზრების მიღების მიზნით უნდა იყოს ონლაინ განთავსებული ახალგაზრდული სერვისების განვითარების განუყოფელი ნაწილი. მათ უნდა შეეძლოთ მარტივი საშუალებებით გამოხატონ თავიანთი აზრი, რის შემდგომაც ის უნდა გასწორდეს და შეესაბამოს მთლიანი ინფორმაციის შინაარსს. მათ უნდა შეეძლოთ მარტივი საშუალებებით გამოხატონ თავიანთი აზრი, რის შემდგომაც ის უნდა გასწორდეს და შეესაბამოს მთლიანი ინფორმაციის შინაარსს. ამასთანავე ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ თუ რა მნიშვნელობა იქონია მათმა აზრმა მთლიან სერვისზე.
9. ონლაინ განთავსებული ახალგაზრდული ინფორმაციის მიზანი და ავტორი უნდა იყოს თვალსაჩინო. თუ მესამე პირის წყარო იქნა გამოყენებული, ეს აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.
10. მომხმარებლებისთვის უნდა იყოს ნათელი თუ ვინ აწვდის მათ ახალგაზრდულ საინფორმაციო სერვისს და რა არის მათი მოტივაცია. აუცილებელია მითითებული იყოს საკონტაქტო ინფორმაცია ისევე როგორც ფინანსური მხარდაჭერი წყაროები.
11. ონლაინ ახალგაზრდულ -საინფორმაციო მომსახურებებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდები იმ მეთოდებითა და სახელმძღვანელოებით, რომლებიც დაეხმარება მათ ამაღლონ საკუთარი საინფორმაციო ცოდნა და ონლაინ კომპეტენციები.
12. ონლაინ ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურებები უნდა ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდებს თუ როგორ იმოქმედონ უსაფრთხოდ ონლაინ გარემოში.
13. ონლაინ ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურებები უნდა წარმოადგენდნენ ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო გარემოს.
14. ონლაინ ახალგაზრდული საინფორმაციოები პატივს უნდა სცემდნენ მომხმარებლების კონფიდენციალურობას და საშუალებას აძლევდეს შეცვალოს ან წაშალოს მათ მიერ გამოქვეყნებული პირადი მონაცემები.
15. ონლაინ ახალგაზრდული საინფორმაციო მომსახურებები პატივს უნდა სცემდნენ მესამე პირის საავტორო უფლებებს და ამასთანავე აცნობიერებდნენ საკუთარს.
16. ახალგაზრდული საინფორმაციო მუშაკები უნდა იყვნენ კომპეტენტურები ონლაინ საშუალებების გამოყენებაში და გააჩნდეთ საინფორმაციო ოსტატობები. ამასთანავე ისინი უნდა იყვნენ მუდამ განვითარების ეპიცენტრში და ინფორმირებულები იყვნენ ყველა სიახლის შესახებ, რაც ხდება ახალგაზრდულ საინფორმაციო სფეროში.